# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-1

"12" თებერვალი 2014 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიბიაშვილი

## განმარტებითი ბარათი

## „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (18 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 18 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, საექიმოს გასასვლელის №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.028) და მიმდებარე ტერიტორიისთვის, არსებული განაშენიანების გათვალისწინებითა და ხე-ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური სპეციალურ ზონასა და საცხოვრებელ ზონებს შორის.

ნაწილობრივ სწორდება ხარვეზი: სპეციალური ზონა და ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №48), მოქ. ლ. გელაშვილი (AR1180804).

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირის №52ა-ს (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.009) მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის, არსებული შენობა-ნაგებობის გათვალისწინებთ, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №49), მოქ. ბ. გოგსაძე (AR1183334).

3. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №23-ში (ნაკვეთი 010/016) დაზუსტდეს კონტური სპეციალური ზონასა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს შორის.

სპეციალური ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №49), მოქ. თ. მურვანიძე (AR1183447).

4. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დ. გურამიშვილის გამზირის №84/დ. დ. გურამიშვილის გამზირის №41-ის მოპირდაპირე მხარეს, ელმავალმშენებელი ქარხნის ღობესთან არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.003.107), არსებული შენობა-ნაგებობის გათვალისწინებთ, დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-სა და სატრანსპორტო ზონა 3-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 3 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №49), მოქ. თ. მურვანიძე (AR1182538).

5. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. №6-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.102, ყოფ. ცენტრალური ვეტოდრომის ტერიტორია), ხე-ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური სპეციალურ ზონასა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს შორის.

სპეციალური ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №51), მოქ. რ. ესართია (AR1185776).

6. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სტურუას ქ. №№20-20ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.12.20.034.004-ის მიმდებარედ), ავტოფარეხის ლეგალიზების მიზნით, დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონასა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №51), მოქ. თ. გელაშვილი (AR1185655).

7. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქ. №103-ის მიმდებარე ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.006.005-ის მიმდებარედ), დარეგისტრირებული საკადასტრო ერთეულების გათვალისწინებითა და ხე-ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ითა და პირიქით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №51), მოქ. ა. ყარასაშვილი (AR1186898).

8. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ილურიძის ქ. (კოლექტივიზაციის) №91-ში არსებული ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.11.035.064-მიმდებარედ), არსებული ნაგებობის გათვალისწინებითა და ხე-ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონას შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №1), მოქ. მ. შაღაშვილი (AR1187299).

9. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის პლატოს II და III მიკრორაიონებს შორის არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.044) და მის მიმდებარედ, ხე-ნარგაევების მაქსიმალური შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-ს, სარეკრეაციო ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება და სარეკრეაციო ზონა 2-ითა და საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №1), მოქ. ილ. მეტრეველი (AR1187359).

10. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №22-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.16.002.003) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსების მიზნით, ასევე, მიმდებარე ტერიტორიისთვის არსებული განაშენიანების გათვალისწინებითა და ხე-ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური სპეციალურ ზონას, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს შორის.

სპეციალური ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით, ხოლო საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №1), მოქ. ნ. მაღრაძე (AR1186009).

11. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №72.13.28.549) და მიმდებარე ტერიტორიისთვის, არსებული საკადასტრო ერთეულებისა და გზის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ითა და პირიქით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №1), მოქ. გრ. შეყილაძე (AR1187601).

12. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზადტკეცილსა და მდ. მტკვარს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.020.022) და მიმდებარე ტერიტორიისთვის, არსებული განაშენიანების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 2-სა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №1), თ. გამყრელიძე (AR1184628).

13. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დაისის II შესახვევის №25-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.12.09.034.057) და მიმდებარე ტერიტორიისთვის, არსებული გზისა და საკადასტრო ერთეულების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით, ხოლო ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №1), მოქ. მ. ცერცვაძე (AR1184248).

14. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. წერეთლის გამზირის №1–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.13.07.020.028) და მიმდებარე ტერიტორიისთვის, არსებული საკადასტრო ერთეულების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №2), მოქ. გ. ქარელიშვილი (AR1190175).

15. ქ. თბილისში, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შეშელიძის ქ. №3–ის (ფეიქრების ქუჩა №14) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.19.002.004– ის მიმდებარედ) არსებული საკადასტრო ერთეულების გათვალისწინებითა და ხე- ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნებით, მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით შეზძენის მიზნით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №2), მოქ. მ. ლომიძე (AR1190274).

16. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირზე, ხორცკომბინატის მიმდებარედ, მოსკოვის გამზირის №16ა–ში არსებული მიწის ნაკვეთებისა (საკადასტრო კოდი: №№01.19.34.002.055, 01.19.34.002.127) და მათ მიმდებარედ, არსებული განაშენიანების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონა 1-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2–ს შორის.

სამრეწველო ზონა 1 და სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №2), მოქ. გ. ბუქური (AR1190501).

17. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქ. წამებულის გამზირის დასაწყისში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.010.011), სავაჭრო და საოფისე შენობა- ნაგებობის განთავსების მიზნით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2- ით („ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №48), მოქ. მ. მირზიაშვილი (AR 1173835).

18 . ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.046) დაზუსტდეს კონტური, მიმდებარე ტერიტორიაზე შეთანხმებული გრგ-ს კონტურის გათვალისწინებით, საცხოვრებელი ზონა 6-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

საცხოვრებელი ზონა 6 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით („ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №48), მოქ. ზ. ნემსაძე (AR 1181126).